

## პოს ტერმინალით მომსახურების საერთო დებულებები

### 1. ზოგადი ნაწილი

1.1 მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს პოს ტერმინალით მომსახურების საერთო დებულებებს.

1.2 ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება პოს ტერმინალით მომსახურების საერთო დებულებების მიხედვით (შემდგომში „ხელშეკრულება“) რომელიც შედგება:

- „ობიექტის“ დირექტორის/მინდობილი პირის მიერ ხელმოწერილი განაცხადის პლასტიკური ბარათების მომსახურების სისტემაში ჩართვის შესახებ (შემდგომში „განაცხადი“)
- ასევე ნებისმიერი დანართისგან ან განცხადებისგან ასეთის არსებობის შემთხვევაში

### 2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

2.1 ხელშეკრულებაში მოცემულ ტერმინთა განმარტებები და წესები ეყრდნობა საერთაშორისო საგადახდო სისტემის Visa International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესებს;

2.2 "ბანკი" - სააქციო საზოგადოება "თი ბი სი ბანკი", რეგისტრირებული მისამართი: მარჯანიშვილის ქ. №7 ტელ.: 2 27 27 27.; ელფოსტა: info@tcbank.ge

2.3 "ობიექტი" - იურიდიული/პიზიკური პირი, დასახელება და სხვა საიდენტიფიკაციო მონაცემები მოცემულია განაცხადში.

2.4 "ბარათი" - Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და ChinaUnionPay-ის საერთაშორისო საგადახდო ბარათები.

2.5 "საპროცესინგო ცენტრი" - ს.ს. "გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია", რომელიც უზრუნველყოფს პოს-ტერმინალის მომსახურებას, საბარათო ოპერაციების ავტორიზაციას და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას;

2.6 "ავტორიზაცია" - გარიგების მოთხოვნაზე თანხმობის ან უარის მიღების პროცედურა, რომლის დროსაც მოწმდება ბარათის ვალიდურობა, ბარათზე გარიგების შესაბამისი თანხის არსებობა და ხდება ამ თანხის ბლოკირება;

2.7 "ავტორიზაციის კოდი" - გარიგების (ავტორიზაციაზე თანხმობის) დამადასტურებელი ექსპნიშნა რიცხვი;

2.8 "გარიგების უარყოფის კოდი" - სხვადასხვა მიზეზით არშემდგარი გარიგების (ავტორიზაციაზე უარის) კოდი.

2.9 "ტრანზაქცია" - ავტორიზაციისა და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა;

2.10 „პოს ტერმინალი“ - ელექტრონული მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება გარიგების თანხისა და ბარათზე არსებული ინფორმაციის გადაცემა საპროცესინგო ცენტრთან ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად;

2.11 „მობილური ტერმინალი“ - პოს ტერმინალის ერთ-ერთი ფორმა ე.წ რიდერი რომელიც უზრუნველყოფს გადახდის მიღებას სმარტფონში ჩატვირთული აპლიკაციის მეშვეობით.

2.12 "სავაჭრო ქვითარი" ან "ავტომატური სავაჭრო ქვითარი" - ბარათით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ბეჭდავს პოს-ტერმინალი ორ იდენტურ ასლად და რომელიც შედგენილია წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.1 პუნქტში აღწერილი წესების სრული დაცვით.

2.13 "ზაჩი" - 24 საათის განმავლობაში შესრულებულ გარიგებათა ჯამური თანხა, რომელსაც პოს-ტერმინალი აგზავნის საპროცესინგო ცენტრში;

2.14 "ჩარჯბეკი" - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესების შესაბამისად, ბარათის ემიტენტის ან მფლობელის მიერ ტრანზაქციის გასაჩივრების და ექვაიერისგან ტრანზაქციის თანხის ან მისი ნაწილის უკან დაბრუნების მოთხოვნის პროცედურა.

2.15 "ჩარჯბეკის დოკუმენტი" - VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის წესებით დადგენილი ჩარჯბეკის პროცესისათვის დამხმარე საბუთი ან ინფორმაცია (როგორცაა სავაჭრო ქვითარი, კლიენტის მონაცემები, ტრანზაქციის დამატებითი აღწერა, "ობიექტის" ინვოისი/ანგარიში, ნებისმიერი დოკუმენტის ჩანაწერი, "ობიექტის" წერილი და ა.შ.)

2.16 ფილიალი - იურიდიული პირის განცალკევებული ქვედანაყოფი, რომელიც მდებარეობს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ და სრულად ან ნაწილობრივ წარმოადგენს მას ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

### 3. განაცხადში "გამოყენებულ ტერმინთა განმარტება"

3.1 „შევსებადი საკომისიო“- ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება „ობიექტის“ ყველა ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ყველა ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება ობიექტის მიმდინარე, შემნახველი ან საბარათო ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.1.1. „შევსებადი საკომისიო ერთეულ ტერმინალზე“- ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება „ობიექტის“ თითოეული ტერმინალის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ტერმინალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება ობიექტის მიმდინარე, შემნახველი ან საბარათო ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.1.2. „შევსებადი საკომისიო ერთეულ ფილიალზე“- ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება „ობიექტის“ თითოეული ფილიალის ტერმინალების წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ საკომისიოს ჯამი ერთეულ ფილიალზე აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება ობიექტის მიმდინარე, შემნახველი ან საბარათო ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.2 „ფიქსირებული საკომისიო“ - განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც „ობიექტი“ გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება „ობიექტის“ მიმდინარე, შემნახველი ან საბარათე ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.2.1 „ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ტერმინალზე „ - განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც „ობიექტი“ გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ტერმინალზე და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება „ობიექტის“ მიმდინარე, შემნახველი ან საბარათე ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.2.2 „ფიქსირებული საკომისიო ერთეულ ფილიალზე“ - განაცხადის შესაბამის გრაფაში მითითებული საკომისიოს ოდენობა, რომელსაც „ობიექტი“ გადაუხდის ბანკს თვეში ერთხელ თითოეულ ფილიალზე და დაემატება განაცხადით გათვალისწინებული ბარათით განხორციელებული თითოეული ტრანზაქციის საკომისიოს. ფიქსირებული საკომისიო უაქცეპტო წესით ჩამოიჭრება „ობიექტის“ მიმდინარე, შემნახველი ან საბარათე ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც ობიექტი წინასწარ აცხადებს თანხმობას.

3.3 „ექსკლუზიური პირობა“ - ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და China Union Pay ბარათებისთვის ექსკლუზიურად ისარგებლოს მხოლოდ თიბისი ბანკის პოს-ტერმინალის მომსახურებით, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო, იმ თვის წინა კალენდარული თვის განმავლობაში პოს ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების თანხების ჯამის სამმაგი ოდენობით (მინიმუმ ხუთი ათასი ლარი), რომელშიც მოხდა ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა.

3.4 რანჟირების ტიპი „წინა თვე“ - წინა თვის ტრანზაქციების მოცულობა იმოქმედებს ბანკის საკომისიოს ოდენობაზე წინა თვეში. თვის განმავლობაში ჩამოჭრილ საკომისიოს ჯამსა და განაცხადის მიხედვით ჩამოსაჭრელ საკომისიოს ჯამს შორის დიფერენცია ხელშეკრულებაში მითითებულ ორგანიზაციის ანგარიშზე არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა.

3.5 რანჟირების ტიპი „მიმდინარე თვე“ - წინა თვის ტრანზაქციების მოცულობა იმოქმედებს ბანკის საკომისიოს ოდენობაზე მიმდინარე თვეში.

3.7 „ყოველთვიური მომსახურების საკომისიოს ავანსად აღება“ - პირველი თვის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო, რომელსაც ბანკი წინასწარ ჩამოჭრის „ობიექტი“-ს ანგარიშ(ებ)იდან

#### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

##### 4.1 „ბანკი“ ვალდებულია

4.1.1 საპროცესინგო ცენტრის მეშვეობით უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოს ბარათების ავტორიზაცია;

4.1.2 უზრუნველყოს POS ტერმინალით Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და China Union Pay ბარათებით განხორციელებულ გარიგებებზე ანგარიშსწორება, „ობიექტის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და განაცხადით განსაზღვრული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისა და ბაჩის წარდგენის შემდეგ, თიბისი ბანკის კლიენტების შემთხვევაში სამი, ხოლო ნებისმიერი სხვა ბანკის კლიენტის შემთხვევაში ხუთი საბანკო დღის ვადაში.

4.1.3 გადასცეს „ობიექტს“ უფასო ვადიან სარგებლობაში პლასტიკური ბარათების მომსახურებისთვის აუცილებელი მოწყობილობა, პოს ტერმინალი (ერთი ერთეულის ღირებულებით 500/ხუთასი/აშშ დოლარი)

4.1.4 უფასოდ გაუწიოს ტერმინალებს ტექნიკური ზედამხედველობა

4.1.5 წერილობით შეატყობინოს „ობიექტს“ არსებითი საოპერაციო ცვლილებების შესახებ ცვლილებებამდე არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღისა;

4.1.6 დაიცვას „ობიექტის“ თანხების მოძრაობის შემცველი ინფორმაციის სრული კონფიდენციალობა;

4.1.7 „ობიექტის“ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, „ობიექტის“ პერსონალს, რომლებიც უშუალოდ მოემსახურებიან ბარათის მფლობელებს, ასწავლოს ბარათების მომსახურების წესები და ჩაუტაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი ან მისი დავალების საფუძველზე სწავლების ინსტრუქტაჟი ჩაატაროს საპროცესინგო ცენტრმა;

##### 4.2 ბანკი უფლებამოსილია

4.2.1 ანგარიშსწორებისას „ობიექტს“ გადაურიცხოს შესაბამისი თანხა საკომისიოს გამოკლებით „ობიექტის“ მიერ მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე. 4.2.2 არ მოახდინოს ანგარიშსწორება ამ ხელშეკრულების 4.3.1 მუხლში მოცემული წესების დარღვევით შედგენილი ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრების მიხედვით და იხსნის ვალდებულებას 4.3.1 მუხლში აღწერილი წესის დარღვევით შევსებულ გარიგების ქვითარში მითითებულ თანხის ჩარიცხვაზე.

4.2.3 დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაში, მოსალოდნელი ჩარჯბეკის, ჯარიმის ან/და ზარალის ანაზღაურების მიზნით გააჩეროს და დაარეზერვოს ობიექტისთვის ჩასარიცხი თანხა;

4.2.4 თუ რეზერვის თანხა არ ფარავს ობიექტის დავალიანებას ბანკის მიმართ, ბანკი უფლებამოსილია ობიექტის ნებისმიერი ანგარიშიდან ჩამოწეროს თანხა, რაზეც კლიენტი წინასწარ აცხადებს თანხმობას, სხვა და სხვა ვალუტაში თანხების ჩამოწერის შემთხვევაში ექვივალენტი დგინდება „ბანკის“ მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის დადგენილი კურსი. ანგარიშზე საკმარისი თანხის არ არსებობის შემთხვევაში ბანკი წერილობით აცნობებს ობიექტის დავალიანების შესახებ.

4.2.5 POS ტერმინალით განხორციელებულ ტრანზაქციებზე არ მოახდინოს ანგარიშსწორება გარიგებიდან ოცდაათი კალენდარული დღის შემდეგ მიღებული ბაჩის საფუძველზე;

4.2.6 უაქცეპტოდ ჩამოჭრას ობიექტის ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხები;

4.2.7 პერიოდულად შეამოწმოს “ობიექტის” მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საოპერაციო წესების დაცვა;

4.2.8 არ მოახდინოს “ობიექტთან” ანგარიშსწორება, “ობიექტის” განკარგულებაში არსებული POS ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების საეჭვოობისას ან უკანონობისას;

4.2.9 ჩარჯბეკის მოთხოვნის შემთხვევაში ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე “ობიექტს” დაუბლოკოს შესაბამისი თანხა, რაც შეესაბამება VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის რეგულაციის წესებს;

4.2.10 მოითხოვოს “ობიექტისაგან” ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, როგორც ჩარჯბეკის შემთხვევაში, აგრეთვე ნებისმიერი საეჭვო და უკანონო გარიგებისას;

4.2.11 იმ შემთხვევაში თუ ერთი კალენდარული თვის განმავლობაში ჩარჯბეკების თანხა მიაღწევს გარიგებების საერთო თანხის 3%-ს ან მკვეთრად გაიზარდება ტრანზაქციების რაოდენობა ან/და თანხა, მიზეზის დადგენამდე (შემოწმების საფუძველზე), დროებით შეაჩეროს “ობიექტთან” ანგარიშსწორება და ბარათების მომსახურება;

4.2.12 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში ტრანზაქციის თანხის “ბანკის” ანგარიშზე ჩარიცხვიდან 3 დღის ვადაში განიხილოს შესაბამისი ინფორმაცია და საგანგებო დოკუმენტები და მიიღოს გადაწყვეტილება ბარათის მფლობელის ანგარიშზე თანხის დაბრუნება/არდაბრუნების შესახებ;

4.2.13 კანონითა და წინამდებარე ხელშეკრულებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, 4.3.2; 4.3.20; 4.3.23; 4.3.24; და 4.3.26 პუნქტების პირობის დარღვევის შემთხვევაში, “ბანკი” უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ასეთ შემთხვევაში “ობიექტი” ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნულ პუნქტებში მითითებული პირგასამტეხლო;

4.2.14 „ობიექტის“ მიერ ამ ხელშეკრულების 4.3.2; 4.3.20; 4.3.23; 4.3.24; და 4.3.26 პუნქტებში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღის ვადაში ჩამოჭეროს ამავე პუნქტების თანახმად გათვალისწინებული პირგასამტეხლო ობიექტის საბანკო ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც „ობიექტი“ წინასწარ აცხადებს თანხმობას;

4.2.15 დაუყონებლივ შეაჩეროს უფლებამოსილება და ანგარიშსწორებები ობიექტთან, რაიმე მნიშვნელოვანი გარემოებების გამო, რომლებიც ზიანს აყენებს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის ანგარიშსწორების სისტემების სახელს;

4.2.16 „ობიექტზე“ პოს ტერმინალების მიტანა-წამოღება, მონტაჟი, დემონტაჟი და მათი სრული მომსახურება უზრუნველყოს სს,საბანკო სისტემების სერვისების კომპანიის,, თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილი არიან ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს.

4.2.17 ბანკი უფლებამოსილია წინასწარ ჩამოჭრას (ჩამოჭეროს) ყოველთვიური მომსახურების საკომისიო „ობიექტი“-ს ანგარიშ(ებ)იდან ხელშეკრულების გაფორმებისთანავე. თუ ტერმინალ(ებ)ის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი გადააჭარბებს ავანსად აღებული საკომისოს ოდენობას, ავანსად აღებული საკომისიო სრულად დაუბრუნდება „ობიექტს“ ანგარიშზე, ხოლო თუ საკომისიოს ოდენობა აღმოჩნდება ავანსად აღებულ საკომისიოზე ნაკლები, „ობიექტს“ საკომისიო ჩამოჭრება 3.1 3.1.1, 3.1.2 პუნქტებში აღწერილი ლოგიკის (წესის) შესაბამისად.

4.2.18 “ბანკი” უფლებამოსილია ობიექტის ანგარიშიდან ჩამოჭრას „ფიქსირებული საკომისიო“ ობიექტთან წინასწარ შეთანხმებული თვეების რაოდენობით.

4.3. „ობიექტი“ ვალდებულია

4.3.1 დაიცვას ობიექტებში ტერმინალით Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და China Union Pay ბარათებით მომსახურების წესები:

- მაგნიტური ზოლით განხორციელებულ ტრანზაქციის ქვითარზე მოაწერინოს კლიენტს ხელი
- იმ შემთხვევაში თუ მაგნიტური ზოლით განხორციელებული ტრანზაქციის თანხა აღემატება 100 დამატებით მოითხოვოს პირადობის მოწმობა და მოწმობის ნომერი დააწეროს ამობეჭდილ ქვითარს
- შეინახოს კლიენტის მიერ ხელმოწერილი ქვითარი 180 დღის განმავლობაში
- გადახდა ჩათვალს წარმატებით დასრულებულად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამობეჭდილ ქვითარზე წერია - „დადასტურებულია, პასუხის კოდი 000

4.3.2 Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და China Union Pay-ის ბარათების მომსახურება განხორციელოს წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული წესების მკაცრი დაცვით.

4.3.3 უზრუნველყოს „საპროცესინგო ცენტრში“ ბაჩის გაგზავნის პროცედურა წინამდებარე ხელშეკრულების დადგენილი წესების მიხედვით;

4.3.4 სს „თიბისი ბანკში“ დარეგისტრირდეს კლიენტად (თუკი უკვე არ არის დარეგისტრირებული).

4.3.5 ტრანზაქციის გაუქმებისა და უკუგატარების შემთხვევაში უზრუნველყოს „ბანკის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა 5 საბანკო დღის განმავლობაში;

4.3.6 პოს ტერმინალებთან მუშაობის უფლება მისცეს მხოლოდ „ბანკის“ მიერ ინსტრუქტირებულ თანამშრომლებს და წერილობით მოითხოვოს „ბანკისაგან“ ან „საპროცესინგო ცენტრისაგან“ ახალი პერსონალისათვის ინსტრუქციის ჩატარება;

4.3.7 არ გადასცეს პოს ტერმინალები და არ მისცეს მათი გამოყენების უფლება მესამე პირებს;

- 4.3.8 ბანკის ნებართვის გარეშე „ობიექტს“ ეკრძალება ტერმინალის სხვა ობიექტში ან ფილიალში გადატანა;
- 4.3.9 არ გაატაროს კრედიტული ტრანზაქცია შესაბამისი დებუტური ტრანზაქციის გატარების გარეშე;
- 4.3.10 არ მიიღოს ბარათი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის გარდა სხვა (მაგალითად არსებული ვალის ინკასირების ან სხვა მსგავსი) მიზნებისათვის;
- 4.3.11 არ მოახდინოს რაიმე დამატებითი საკომისიოს ან გადასახადის დამატება ტრანზაქციის თანხაზე;
- 4.3.12 განათავსოს პოს ტერმინალები და სარეკლამო მასალები „ბანკთან“ შეთანხმებით;
- 4.3.13 შეინახოს სავაჭრო ქვითრები და ბაჩის ქვითრები 180 დღის განმავლობაში და გადასცეს „ბანკს“ მოთხოვნისთანავე ხუთი საბანკო დღის ვადაში;
- 4.3.14 დაიცვას საბარათე ოპერაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის სრული კონფიდენციალურობა;
- 4.3.15 არ მოახდინოს ბარათის ნომრის მოთხოვნა ან გამოყენება სხვა მიზნისთვის, გარდა საქონლისა და მომსახურების ანგარიშსწორებისა;
- 4.3.16 ობიექტი იღებს პასუხისმგებლობას, აცნობოს „ბანკს“ მის მიერ მესამე პირის-წარმომადგენლის გამოყენების თაობაზე, რომელსაც ექნება წვდომა ბარათის მონაცემებთან, და ადასტურებს რომ მესამე პირი - წარმომადგენელი აკმაყოფილებს Visa Electron/Visa, MasterCard/Maestro და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებს;
- 4.3.17 მოითხოვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ობიექტის მიერ გამოიყენება მესამე პირის საბარათე მონაცემების დამუშავების სერვისი:
- ობიექტი უზრუნველყოფს სისტემაში ჩართული მესამე პირის VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობას. ისეთი როგორცაა ტრანზაქციასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მისი შენახვა და დაცვა;
  - ობიექტი ადასტურებს რომ სრულად იცნობს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის და China Union Pay-ის საგადამხდელო სისტემების „PCI-DSS“ უსაფრთხოების პროგრამას ბარათების მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით და ვალდებულია იღებს შესაბამის მათთან დაკავშირებული მოთხოვნები
- 4.3.18 ჩარჯბეკის შემთხვევაში, ჩარჯბეკის პროცესის დამთავრებამდე, მოახდინოს VISA International-ის, Mastercard Worldwide-ის ან China Union Pay-ის მიერ უკან გათხოვილი თანხის სრული ანაზღაურება;
- 4.3.19 ჩარჯბეკის შემთხვევაში მოთხოვნისთანავე გადასცეს „ბანკს“ ჩარჯბეკის დოკუმენტები, წინააღმდეგ შემთხვევაში ობიექტი ვალდებული იქნება გადაიხადოს ჩარჯბეკის თანხა სრული ოდენობით;
- 4.3.20 აუნაზღაუროს ზარალი, რომელიც „ბანკს“ მიადგა ობიექტის მომსახურე პერსონალის დაუდევარი ქმედებისა ან/და წინამდებარე ხელშეკრულების 4.3.1 მუხლში მოცემული ბარათის მომსახურების წესების დარღვევის შედეგად;
- 4.3.21 ობიექტი ვალდებულია POS ტერმინალის მუშაობაში ხარვეზების წარმოქმნის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს „ბანკს“ ან „საპროცესინგო ცენტრს“;
- 4.3.22 ობიექტი ვალდებულია ხელი შეუწყოს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთას - ობიექტი წარმოადგენს ოპერაციის შესრულების დამადასტურებელ ჩეკს, რომელიც მიღებულია მხოლოდ ბარათის მფლობელსა და ობიექტს შორის სავაჭრო გარიგების შედეგად;
- 4.3.23 ობიექტს უფლება არ აქვს საქონლის ან/და მომსახურების ღირებულებას მიუმატოს „ბანკის“ მიერ დაკისრებული საკომისიო. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია გადაუხადოს ბანკს პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით თითოეულ ასეთ დაზღვევაზე
- 4.3.24 „ობიექტის“ დახურვის ან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, „ბანკს“ დაუბრუნოს გადაცემული პოს ტერმინალები „ობიექტის“ დახურვიდან ან ხელშეკრულების შეწყვეტიდან 20/ ოცი/ სამუშაო დღის განმავლობაში. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში „ ბანკს“ გადაუხადოს დასაბრუნებელი პოს ტერმინალების სრული ღირებულების 0.05% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 4.3.25 ტერმინალის დამატების შემთხვევაში მინიმუმ 5 სამუშაო დღით ადრე წერილობით, ორგანიზაციის ინტერნეტ ბანკით ან ელექტრონულად (მისამართზე: [acquiring@tbcbank.com.ge](mailto:acquiring@tbcbank.com.ge)) აცნობოს „ბანკს“ დამატების შესახებ, პოს ტერმინალის დროული მონტაჟისთვის;
- 4.3.26 გარდა ტექნიკური შეფერხებით გამოწვეული მიზეზებისა, კლიენტს არ განუცხადოს უარი ბარათით ანგარიშსწორებაზე. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი დაარღვევს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობას, „ბანკი“ უფლებამოსილია დააკისროს, ხოლო ობიექტი ვალდებულია თითოეულ ასეთ შემთხვევაზე ბანკს გადაუხადოს პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით. ასეთი უფლებით ბანკს შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას;
- 4.3.27 „ობიექტის“ მიერ ტერმინალის გამოყენება უნდა ხდებოდეს მხოლოდ წინასწარ შეთანხმებული პროფილის შესაბამისად. პროფილის დამატების ან შეცვლის შემთხვევაში ობიექტი ვალდებულია აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ.
- 4.3.28 გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს უფასო ვადიან სარგებლობაში გადაცემული მოწყობილობა, პოს ტერმინალი.
- 4.3.29 არ მოახდინოს ტერმინალის რაიმე ტექნიკური და პროგრამული ცვლილებები
- 4.3.30 ტერმინალის გაუმართაობის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობოს საპროცესინგო ცენტრს ნომერზე 0322777222

4.3.31 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაუბრუნოს ბანკს ტერმინალი და მიღება ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარები თავდაპირველ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

4.3.32 ტერმინალის ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში აუნაზღაუროს ბანკს მისი კაპიტალური რემონტის ხარჯი.

4.3.33 ტერმინალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აუნაზღაუროს ბანკს მისი მიმდინარე ღირებულება.

4.3.34 მიღება ჩაბარებით განსაზღვრული ტერმინალის აქსესუარების დაუბრუნებლობის შემთხვევაში, აუნაზღაუროს ბანკს მათი ღირებულება, რომელიც განსაზღვრულია მიღება-ჩაბარების აქტით.

„ობიექტს“ უფლება აქვს:

4.4 მიიღოს დამატებითი კონსულტაცია ბარათებით ოპერირების შესახებ;

4.5 წერილობით მოითხოვოს თავისი პერსონალის განმეორებითი სწავლება;

5. ყალბი ან ძალადაკარგული სავაჭრო ქვითრები

5.1 მხარეთა შეთანხმებით ავტომატური სავაჭრო ქვითარი ითვლება ყალბად და „ბანკი“ არ მოახდენს „ობიექტისთვის“ თანხების გადარიცხვას თუ:

5.1.1 „ობიექტის“ მიერ „საპროცესინგო ცენტრში“ წარდგენილი სავაჭრო ქვითარი ან მისი ასლი არ შეესაბამება ავტორიზაციის მონაცემებს;

5.1.2 სავაჭრო ქვითარი არ არის შევსებული ამ ხელშეკრულების 4.3.1 მუხლში მოცემული წესების თანახმად;

5.1.3 სავაჭრო ქვითარში შეტანილია შესწორებები ან დარღვეულია მათი ასლების იდენტურობა;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხისმგებელი არიან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2 ხელშეკრულების დამრღვევი მხარე ხელშეკრულების პირობების დარღვევით გამოწვეულ მატერიალურ ზარალს აანაზღაურებს სრული მოცულობით;

6.3 „ბანკი“ არ არის პასუხისმგებელი „ობიექტსა“ და ბარათის მფლობელს შორის წარმოქმნილ იმ უთანხმოებებზე, რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან;

6.4 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორის მდგომარეობით და არსებობს ამგვარი გარემოების დამადასტურებელი კომპეტენტური ორგანოს ცნობა; ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს ფორს-მაჟორულ გარემოებათა დამთავრების შემდეგ.

7. დამატებითი პირობები

7.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. ამგვარი გზით შეთანხმების მიუღწევლობისას დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

7.2 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

7.3 მხარეებს არა აქვთ ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა გასხვისების უფლება;

7.4 მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულების ვერშესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ძალაშია საერთაშორისო სამართლის მიჩნეული ფორს მაჟორული გარემოებანი და არსებობს ამგვარი გარემოების დამადასტურებელი კომპეტენტური ორგანოს რწმუნება;

7.5 თუ ხელშეკრულების პირობები არ ითვალისწინებს წარმოქმნილ რაიმე გარემოებას, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

7.6 მხარეები ოფიციალურ დოკუმენტად ცნობენ: საპროცესინგო ცენტრში დაფიქსირებულ მონაცემებს, ავტორიზაციის მონაცემებს, ავტომატურ სავაჭრო ქვითრებს, ბაჩის მონაცემებს, „ბანკიდან“ მიღებულ ამონაწერებსა და ჩარჯბეკის დოკუმენტებს;

7.7 მხარეები თანხმდებიან, რომ „ობიექტზე“ პოს ტერმინალების მიტანა-წამოღებას, მონტაჟს, დემონტაჟს და მათ სრულ მომსახურებას „ბანკი“ უზრუნველყოფს შპს საბანკო სისტემების სერვის კომპანიის“ თანამშრომელთა მეშვეობით, რომლებიც უფლებამოსილნი არიან „ბანკის“ სახელით ხელი მოაწერონ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტებს.

7.8 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, ობიექტისათვის შეწყვეტის შესახებ ხუთი სამუშაო დღით ადრე შეტყობინების მეშვეობით, შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „ობიექტზე“ ტერმინალით განხორციელებული ტრანზაქციების მოცულობა თვეში იქნება ათას ლარზე ნაკლები, ან „ობიექტს“ არ აქვს გადახდილი „განაცხადში“ აღწერილი თვიური საკომისიო;

7.9 მხარეებმა უნდა მოახდინონ საბოლოო ანგარიშსწორება ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან ათი საბანკო დღის განმავლობაში;

7.10 ხელშეკრულება ითვლება საბოლოოდ შეწყვეტილად მხარეთა შორის ყველა სახის ფინანსური და ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების მოგვარების შემდეგ;

7.11 მხარეები ვალდებულნი არიან წერილობით აცნობონ ერთმანეთს ნებისმიერი არსებითი ცვლილების (რეკვიზიტების, სამართლებრივი სტატუსის, საქმიანობის გამოცვლა, ლიკვიდაცია, გაკოტრება) შესახებ, ცვლილებიდან ათი დღის განმავლობაში;

7.12 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი შესწორება ან დამატება შეიძლება განხორციელდეს თიბისი

ბანკის ვებ-გვერდზე ([www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge)) გამოქვეყნების გზით. თუ გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში „ობიექტი“ არ გამოთქვამს წინააღმდეგობას წერილობით ან მეილზე ([acquiring@tbcbank.com.ge](mailto:acquiring@tbcbank.com.ge)), ცვლილება ჩაითვლება ძალაში შესულად.

7.13 ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მხარეთა შორის არსებული ნებისმიერი ანალოგიური შინაარსის შეთანხმება, კარგავს თავის იურიდიულ ძალას, „განაცხადზე“ ხელმოწერისთანავე

7.14 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას;

7.15 ხელშეკრულება ძალაში შედის „განაცხადის“ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ეს ვადა ავტომატურად გრძელდება თუ მხარეები არ გამოთქვამენ აღნიშნული ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის სურვილს. ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება, გაუქმების თარიღამდე 3 თვით ადრე წერილობით ან ელექტრონულ ფოსტაზე [acquiring@tbcbank.com.ge](mailto:acquiring@tbcbank.com.ge) გამოგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

7.16 „ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს „განაცხადით“ განსაზღვრული საკომისიო(ები)ს ოდენობა. ამგვარი ცვლილების შესახებ ბანკი ობიექტის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ობიექტისათვის კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით (წერილობით, ელექტრონული ფოსტით, ინტერნეტ ბანკით, სმს-ით და/ან სხვა ფორმით/საშუალებით) შეტყობინების გაგზავნით. თუ ობიექტი არ ეთანხმება ამგვარ ცვლილებას, იგი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ წერილობით აცნობოს ბანკს ცვლილების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში და ამ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების 7.9. და 7.10 პუნქტებით მხარეებისათვის დადგენილი მოთხოვნების დაცვით შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება“.

7.17 „ნებისმიერი შეტყობინება ხორციელდება წერილობით, ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით. წერილობითი შეტყობინება მხარეს უნდა გადაეცეს შეტყობინების გამგზავნისთვის ცნობილ ბოლო მისამართზე. ბანკს შეუძლია შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის სხვა საშუალებებიც (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

მხარეები თანხმდებიან, რომ ობიექტის მიერ გაცხადებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რომელიც მითითებულია (ა) ობიექტის მიერ ბანკისათვის მიწოდებულ/წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტში და/ან (ბ) ნებისმიერ საჯარო წყაროში, გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება, ითვლება ობიექტისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

თუ მხარეს შეტყობინება ეგზავნება ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მიღება (მხარისათვის ჩაბარება) უნდა დადასტურდეს შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით. ობიექტი აცხადებს თანხმობას, რომ ამ პუნქტში განსაზღვრულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება (თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერით ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით), მისთვის ჩაბარებულად ითვლება.

შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.

შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც“.